საქართ. მემარც. სოც.-ფედ. სარევ. პარტია

წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20,000 მან. [illegible]
4 „ 10,000 „ „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 500,000 მან.
4 „ 300,000 „

№ 402 პარასკევი, იანვრის 26 1923 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 10,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური საპოლიტიკო სალიტერატურო გაზეთი

„ტრიბუნა“

1923 წლის იანვრის პირველიდან ეღირება ხელის მომწერთათვის დაგზავნით და სახლში მიტანით

თვიურად 200,000 მან.

ცალკე ნომრის ფასი 1923 წლის იანვრის პირველიდან ყველგან 10,000 მან.

გაზეთს ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები: პეტროგრადში, მოსკოვში და საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებში. ხელის მოწერა მიიღება ყოველდღე, გარდა უქმეებისა გაზეთის კანტორაში: ტფილისი, სასახლის ქ. № 6. ტელეფონი—10—34 ფოსტის ყუთი № 190.

## სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებობის ხუთი წლის თავზე

ქართველმა მშრომელმა ხალხმა რუსეთის დიდი რევოლიუციის გასამარჯვებლად საუკეთესო შვილები გაიმეტა და მოიპოვა ისეთი საუნჯე, რომლისაც ფასი და სიკეთე ენით გამოუთქმელი, კალმით აუწერელია. საუნჯე იგია თავისუფლება, რომელიც საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში იქელებოდა ცარიზმის ფეხქვეშ. ქართველობა, რომელსაც ოცდაათი საუკუნის კულტურული ცხოვრების ისტორია აქვს, აუარებელი ნივთიერი ძეგლით დადასტურებული, ველურად მოინათლა, რუსეთულ ველურ სამოედებთან გათანასწორდა. ერობა რა არის, ერობის ღირსიც არ გახადეს, ხოლო მისი მოზარდი თაობა საერთო სწავლებისა. ავად ხსენებული ყოფილი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი რუდოლფი ხმა მაღლა გაიძახოდა, რიაზანელ მუჟიკებს უმალ ნებას მივსცემ ქალვაჟთა საერთო სწავლებისას, ქართველობას კი არაო. მანამდე კიდევ ერთი მზრუნველი, სახელდობრ იანოვსკი, რომელიც ჩვენში გამარუსებელი პოლიტიკის დიდ ოინბაზად ითვლებოდა, ხოლო პოლონელთა წრეში პოლონელობდა, ქართველი ხალხის უკულტურობის დასამტკიცებლად ამბობდა, ქართველებს, მთიანი ქვეყნის ხალხს, ჩანჩქერის სახელი არ აქვთო.

ქართველი ხალხი იძულებულ იყო ყური დაეგდო ასეთი პოლიტიკანური ლათაიებისთვის, ვიდრე მოიწეოდა ჟამი ალსასრულისა. რომაული თქმულება არის: მკვდირთათვის ან კარგი, ან არაფერიო, მაგრამ მე არ მწამს რომაული ანდაზა და იმ აზრისა ვარ, რომ მკვდარიც გასამართლებულ უნდა იქმნეს საქმეთა მისთაებრ. აი ეს არის მიზეზი, რომ ცარიზმის აგენტების საგმირო საქმენი მოვიგონე. დიახ! უკულტურო და ველური იყო მათთვის ქართველობა, რათგანაც გამარუსებელი პოლიტიკის ინტერესი მოითხოვდა. მონობის ბორკილი დაიმსხვრა თუ არა, ქართველი მშრომელი ხალხი ისევე, როგორც ცარიზმის დამყარებამდე, კულტუროსანი აღმოჩნდა. კულტუროსნობის საუკეთესო ძეგლად შექმნა სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც დღეს ზეიმობს არსებობის ხუთი წლის თავსა. დიდი რუსეთის საშუალო და უმაღლეს სკოლებში სამასწავლებლო და სამეცნიერო მუშაობაში ჩაბმულმა მსწავლულმა ქართველობამ თავი მოიყარა თავის დედაქალაქში და ქართული მეცნიერების გამარჯვება უზრუნველ ჰყო თავგამოდებული და გულმოდგინე მოღვაწეობით. დავსწრებივარ დისერტაციას და ლექციებს და უნდა აღვიარო, რომ ქართული ენა და ცოდნა საგნისა არ მოაგონებდა კაცს, თუ ისინი იყვნენ მეცნიერების მუშაკნი ისეთი უნივერსიტეტისა, რომელსაც ჯერ ერთი ცხრა წლის ისტორიაც კი არა აქვს.

უეჭველია მოძღვართ გულს უკეთებს მოწაფეობაც, რომელიც მშობლიური მეცნიერების შესწავლას შესდგომია და რომ უფრო ნაყოფიერ იქმნეს მათი ბეჯითობა მოძღვართ ყურის გდებას არა კმარობს და თვით მოქმედების უნარიც გამოუჩენია სხვა და სხვა სამეცნიერო წრის დაარსებით, სადაც ჰკითხულობენ რეფერატებსა.

საქართველოს უმაღლესი სკოლის დაარსების დღეს, ამ ხუთი წლის წინ, ერთმა მუშა ორატორმა განაცხადა ქართველი მუშა, რომელმაც ააგო ასეთი დიდებული ტაძარი მეცნიერებისა, უსათუოდ უნდა ისმენდეს მის ზღუდეთა შორის მეცნიერების სიტყვას, რომ მისი თვითცნობიერების დონე გაუთანასწორდეს ევროპელი მუშისასაო. დღეს საქართველოს უმაღლეს სკოლას მოეპოება სამაშვრალო ფაკულტეტიც, რომელსაც თავს უდვია მაშვრალის გათვითცნობიერება.

მეცნიერების ტაძარში კარდახშულ სეანსებს გარდა უნდა იყვეს აგრეთვე საჯარო სეანსებიც, სადაც დასწრება უნდა შეეძლოს ყოველ მოქალაქესა. საფრანგეთის მთავრობას პარიზში აქვს ერთი უმაღლესი სკოლა სახელად. კოლეჟ დეფრანს, სადაც გამოჩენილი მეცნიერები საჯარო და უსასყიდლო ლექციებს უკითხავენ ხალხსა და ნუ თუ ჩვენ ხელი არ უნდა შეუწყოთ ასეთ საქმეს საბჭოთა წესწყობილების დროს.

ვისურვებ, საქართველოს უმაღლესი სკოლა დღეგრძელ და ცოდნისა და სიბრძნის ლამპარ იქმნეს გასანათლებლად მშრომელი ხალხისა.

გაუმარჯოს ქართულ მეცნიერებას და მის მესვეურ მოძღვარ—მოწაფეობას!

**მეგობარი.**

## დამსახურებული პროფესორი



### პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი

**(ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორი)**

**დაიბადა 1850 წელს**

## ქართული უნივერსიტეტი

**(ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებობის ხუთი წლის თავი)**

რევოლიუციის წიაღში იშვა ჩვენი უნივერსიტეტი.

რევოლიუციამ მოგვცა ჩვენ ახალი უნივერსიტეტი.

რევოლიუციამ დააჩქარა ქართული უნივერსიტეტის გახსნა.

1918 წელი, სახელდობრ ამ წლის დასაწყისი—იანვრის 26—ეს დიდმნიშვნელოვანი დღეა საქართველოს ცხოვრებაში. საქართველოს ისტორიის ფურცლებზე 26 იანვარი ლამაზად არის შეტანილი და ამიერიდან ეს დღე მუდამ ტკბილი და საყვარელი იქნება ქართველ მშრომელ ხალხისათვის. საქართველოს კულტურული ცხოვრება, როგორც აწმყო, ისე მომავალი, უეჭველად და უმთავრესად უნივერსიტეტის გაძლიერებით გამოიხატება.

უნივერსიტეტი არის ჩვენი კულტურული აღორძინება.

უნივერსიტეტი საქართველოში, ქართული უნივერსიტეტი მოასწავებს საქართველოს აღორძინებას, ქართველ მშრომელ ხალხის კულტურულ ფერხულში ჩაბმას და ყოველივე ამას თუ დაუკავშირეთ თანამედროვე რევოლიუციონური მოძრაობა, ამ თვალსაზრისით უნივერსიტეტის გაძლიერებას, მის ყოველმხრივ გაფართოვებას აუცილებლად ფართო თავისუფალი მოქმედება და მუშაობა უნდა მიეცეს.

საქართველოს დედა ქალაქში საბურთალოს მიდამოებში ლამაზად ამართულია თეთრი ტაძარი, ტაძარი მეცნიერების, ქართული უმაღლესი სასწავლებელი. ის მკაცრად დასცქერის ირგვლივ და მის ბუმბერაზობაში გამოიხატება რაღაც იდუმალი მტკიცე სილამაზე.

დიდი ხნის განმავლობაში მოელოდა მის აშენებას საქართველო და დიდი ხნის განმავლობაში უკვე დიდებულად ამართული თეთრი ტაძარი მოელოდა თავის კედლებში საქართველოს მეცნიერთა ამეტყველებას, როგორც ქართული უმაღლესი სასწავლებელი, როგორც საქართველოს კულტურის მანათობელი.

რევოლტუციამდის, რასაკვირველია, უნივერსიტეტის დაარსება საქართველოში და ისიც ქართული უნივერსიტეტის—ეს საქართველოს განთავისუფლების არჩდილი, რომელიც იყო საშინელი განზრახვა რუსეთის თვითმპყრობელობის, რუსთხელმწიფობის წინააღმდეგ. წარსულ საუკუნის შავ-ბნელ ხანაში, როდესაც თავისუფალი სიტყვა დახშული იყო, როდესაც მეფის ჟანდარმერია გაქანებას არ აძლევდა ერის თავისუფალ განზრახვებს, განხორციელება იმ დიად საქმის, რომელიც ქართულ უნივერსიტეტის გახსნაში გამოიხატებოდა, შეუძლებელი იყო. მაგრამ მომავალი, ბრწყინვალე და კარგი მომავალი, საითკენაც დიდის იმედებით გასცქეროდა ქართველი მშრომელი ხალხი, მასთანვე უცხო ქვეყნებში მყოფი ახალგაზრდობა და ქართველი მეცნიერნი,—აი ეს მომავალი იყო მისი ოცნება და ამ ოცნებით გატაცებული ის მტკიცე მუშაობით ემზადებოდა მომავალ მოქმედებისათვის და სწორედ ეს მუშაობა გამოიხატა იმ შენობის აგებაში, რომელიც დღეს არის საქართველოს კულტურის ნავთსაყუდელი, სადაც ათასობით თავი მოუყრია საქართველოს მრავალ კუთხეებიდან ჩვენს ახალგაზრდობას და სადაც შეკრებილან ქართველი მეცნიერნი სხვა და სხვა ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებიდან.

რაც ოცნება იყო რეაქციის შავბნელ ხანაში, რაც შეუძლებელი იყო რუსთხელმწიფობის ხანაში, ის რევოლიუციის მსვლელობაში განხორციელდა, რევოლიუციის მსვლელობის დროს გაძლიერდა.

1917 წელს, როდესაც რევოლიუციის ტალღები ლამობდენ ყოველივე ძველის განადგურებას, როდესაც ყოველივე სიახლეს სათანადო გეზი უნდა მისცემოდა—აი სწორედ იმ ხანებში ქართულ უნივერსიტეტის დაარსების საკითხი საქართველოში უკვე მომწიფებულად უნდა ჩაგვეთვალა, მაგრამ მაინც საჭირო შეიქმნა ერთგვარი დასტური რუსეთის დროებითი მთავრობიდან, რომელსაც კიდეც მიმართა საქართველოდან ევრედ წოდებულ ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობამ.

მაგრამ რუსეთში ქართულ უნივერსიტეტის საკითხს ძლიერ უარყოფით შეხედეს და ერთ საბჭოში, სადაც ამ საკითხის გარჩევა ხდებოდა, რამდენიმე მეცნიერმა გამოილაშქრა კიდეც მის ჩასახშობად. ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ, რომ იმ პირთა შორის, რომელნიც დიდ წინააღმდეგობას უწევდენ საქართველოში ქართულ უნივერსიტეტის საკითხს, იყვნენ ცნობილნი მეცნიერნი აკადემიკოსი ოლდენბურგი და პროფესორი ვასილიევი.

და რასაკვირველია თვით კერენსკის მთავრობაც მაინდამაინც ხელსაც არ უწყობდა ქართველ მშრომელ ხალხის მოთხოვნილებას. მაშინ, როდესაც საქართველოში უნივერსიტეტის ირგვლივ სათანადო მუშაობა სწარმოებდა, მაშინ როდესაც რევოლიუციის მონაპოვართა შორის აუცილებლად უნდა განხორციელებულიყო ხალხის მთავარი მოთხოვნილებანი—აი აქ კერენსკის მთავრობა მოწადინებულია ხელი შეუშალოს ხალხის განზრახვებს, ჩაშალოს მისი ცოცხალი ძალა, გასაქანი არ მისცეს მის კულტურულ ცხოვრებას.

წმინდა რუსული „ველიკოდერჟავული“ მოქმედება და სულისკვეთება, რომელიც ქართულ უნივერსიტეტის საკითხის ირგვლივ გამოშჟღავნდა, გამოიხატა იმ ცნობაში, რომლითაც გვემცნო რომ სასურველია დაარსება ტფილისში რუსული უნივერსიტეტის და საგანგებო ნებართვით კიდეც მისი განხორციელება პოლიტეხნიკუმის დაარსებით სისრულეში იქნა მოყვანილი.

მაგრამ ეს სრულიადაც არ სპობდა ტფილისში ქართულ უნივერსიტეტის იდეას, პირიქით უფრო მძლავრად გაისმა მის ირგვლივ ხმა საქართველოსი და 1918 წლის დასაწყისში პროფესორი ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით 26 იანვარს იხსნება საქართველოში პირველი ქართული უნივერსიტეტი.

აღსრულდა დიდი საქმე. საქართველოს წიაღში აღზრდილი ახალგაზრდობა მოესწრო თავის ქვეყანაში მშობლიურ ნიადაგზე აღმოცენებულ უმაღლეს სკოლას. და მის აღმოცენებაში, მის ირგვლივ მუშაობაში აუცილებლად დიდი ღვაწლი მიუძღვის პროფესორ ივანე ჯავახიშვილს, რომელიც როგორც რკინა, ისეთ სიმკაცრით ეკვეთა ქართულ უნივერსიტეტის მოწინააღმდეგეთა ბანაკს, რომელთა შავრაზმული გამოლაშქრება ჩაკლა მან 26 იანვრის სიურპრიზით. დიახ! ეს იყო სასიკვდილო ლახვარი იმ ხულიგანური ელემენტებისათვის, რომელთა შავი სულისკვეთება ვერ შერიგებია საქართველოს მშრომელ ხალხის მისწრაფებას.

დღეს ქართული უნივერსიტეტი ფაქტია. დღეს ქართული უნივერსიტეტი მძლავრია თავის სამეცნიერო ძალებით, მძლავრია თავის მუშაობით.

მძლავრია იმისათვის, რომ ნაწილნაწილად გაფანტულმა მრავალ ქვეყნებში და საუნივერსიტეტო კულტურულ ცენტრში, ჩვენმა მეცნიერებმა უკვე თავი მოიყარეს თავის მშობლიურ მეცნიერების ტაძრის ირგვლივ.

გასულ ხუთი წლის განმავლობაში თანდათან ემატებოდა ეს სამეცნიერო ძალები ჩვენს უნივერსიტეტს, რომელიც თავის ძალებით არ ჩამოუვარდება უკვე რუსეთისა და ევროპის ცნობილ უნივერსიტეტებსაც. პროფესორთა და დოცენტთა რიცხვი 50 უდრის. დანაკლისი კულტურულ ძალებში ძლიერ მცირეა. საკმარისია თვალი გადავავლოთ იმ მშრალ მასალას, რომელიც დღეს ჩვენს გაზეთის ფურცლებზე იბეჭდება, რომ ამაში დავრწმუნდეთ.

ამ მხრივ აუცილებლად უზრუნველყოფილია უნივერსიტეტი, ამ მხრივ აუცილებლად დიდ მუშაობას ეწევა ყველა მუშაკი უნივერსიტეტში მყოფი. მაგრამ ეს სრულიადაც არ კმარა. საჭიროა უნივერსიტეტი მატერიალურად და ტეხნიკურად უზრუნველყოფილი იყვეს. მატერიალურ მხარეს რომ არ შევეხოთ, რადგან ეს საერთო სენია ყველა დაწესებულებისათვის, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ზოგიერთი რამ, რაც უნივერსიტეტისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ეს არის სტამბა.

სტამბა ამ შემთხვევაში ერთი მნიშვნელოვანი ძარღვი უნდა იქნეს უნივერსიტეტის ცხოვრებაში. სტამბა, რომელიც მხოლოდ უნივერსიტეტს დააკმაყოფილებს იმ აუარებელ შრომათა გამოქვეყნებაში, იქნება დიდი შელავათი მის კულტურულ მუშაობაში. სტამბის საკითხი მორიგ საკითხად უნდა დადგეს თვით განათლების კომისარიატში და ეს აუცილებლად უნდა განხორციელდეს ახლო მომავალში. დღეს უნივერსიტეტს არა აქვს საშუალება პერიოდულად მაინც გამოსცეს თავისი მოამბე. სტამბის საკითხი კი ამ ნაკლს გამოასწორებს. საერთოდ ბოლო უნდა მოეღოს უნივერსიტეტისადმი რაღაც უნდობლობას; მეტი დახმარება, მეტი ყურადღება, მეტი სიყვარულია საჭირო, რათა ამ საქმეს ყოველივე დარგში სათანადო მსვლელობა მიეცეს.

5 წელიწადი ეს სულ მცირე დროა, მაგრამ ჩვენი უნივერსიტეტის აღორძინების მუშაობაში უეჭველად ეს 5 წელიწადი არის ის საფუძველი, რომელიც მტკიცედ დაედო მის მომავალ ცხოვრებას, მის მომავალ მუშაობას.

ამ მცირე დროს განმავლობაში ჩვენმა უნივერსიტეტმა უკვე მიიპყრო ყველა ქვეყნის მეცნიერთა ყურადღება; ჩვენი უნივერსიტეტისაკენ მრავალი თვალია მოპყრობილი; ბევრი მოწინააღმდეგეც კი წელში მოიღუნა.

მაშ ვაშა ჩვენს უნივერსიტეტს! ვაშა პროფესურას! ვაშა ახალგაზრდობას!

**ხოსო ახლანიშვილი.**

# პროფესორი ივანე ჯავახიშვილი

(სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი)

ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი დაიბადა 1871 წელს ქართლის სოფელ ხოვლეში. საშუალო სწავლა-განათლება მიიღო ტფილისში კლასიკურ პირველ გიმნაზიაში, რომლის დაწრულებისას გაემგზავრა ქ. პეტერბურგს 1895 წელს და შევიდა აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე. პეტერბურგის უნივერსიტეტის დასრულებისას, 1899 წელს, დატოვებულ იქნა უნივერსიტეტში სამუშაოდ და ერთ წლის შემდეგ 1900 წელს მაგისტრის ხარისხზე იცავს დისერტაციას „სახელმწიფო წყობილება ძველ საქართველოში და სომხეთში“. შემდეგი ორი წელი 1901 და 1902 მან დაჰყო გერმანეთში, სადაც ქ. ბერლინში თეოლოგ პარნაკის და სამართლის ისტორიის მეცნიერის ბრიუნერის ხელმძღვანელობით ეწევა მუშაობას, რის შედეგიც იყო შრომა „Das Märtyrium des heil Eusthatius v. Mzcheta“, რომელიც 1902 წელს გამოქვეყნდა პრუსიის სამეცნიერო აკადემიის უწყებებში. ივანე ჯავახიშვილი თავის ერთ შრომისათვის, რომელიც კრიტიკულ განხილვას წარმოადგენს, სახელდობრ „ანდრია მოციქულის და წმ. ნინოს მქადაგებლობითი მოღვაწეობა“ პეტერბურგის უნივერსიტეტმა ოქროს მედლით დააჯილდოვა. 1918 წლამდის ივანე ჯავახიშვილს გამოქვეყნებული აქვს მრავალი შრომა; ბევრი კიდევ დღევანდელ პირობების გამო დაუბეჭდავია. პეტერბურგში ივანე ჯავახიშვილის ირგვლივ თავს იყრის ქართველი ახალგაზრდობა და 1908 წელს მის თავმჯდომარეობით არსდება „პეტრეს ქალაქის უნივერსიტეტის ქართული სამეცნიერო წრე, რომლის უმთავრესი მიზანი იყო, რათა „მისი წევრები საქართველოს წარსულისა და აწმყოს მეცნიერულს შესწავლას თითონაც შესჩვეოდენ და შეძლებისადაგვარად ისეთი საქმის განხორციელებაც ეკისრათ, რომელსაც ქართული ფართო საზოგადოებისათვისაც მნიშვნელობა ექმნებოდა და სარგებლობას მოუტანდა“. (აღნიშნულ წრის კრებულში იხილე ივ. ჯავახიშვილის წინასიტყვაობა).

მართლაც მრავალი შრომები და გამოკვლევანი გამოქვეყნდა აღნიშნულ სამეცნიერო წრის წყალობით. სტუდენტთა მოხსენებები დაიბეჭდა მაშინ—1915 წელს საგანგებოთ გამოცემულ კრებულში, რომელსაც ხელმძღვანელობდა თვით ივანე ჯავახიშვილი.

აღსანიშნავია აგრეთვე ამ წრის მიერ დამუშავებული ქართული ბიბლიოგრაფია, რომელიც წარმოადგენს ქართულ ერთდროულ გამოცემებში (1852-1910) მოთავსებულ სტატიების და მასალების მაჩვენებელს ენათ-მეცნიერებიდან, ეთნოგრაფიიდან, გეოგრაფიიდან, არქეოლოგიიდან, ისტორიიდან, ხალხურ სიტყვიერებიდან და ძველ მწერლობიდან აღნიშნული შრომა 1916 წ.

1917 წელი—რევოლიუციის დასაწყისი მოასწავებდა საქართველოს აღორძინებასაც. დიდი ხნის ნატვრა ქართველი ხალხის უნივერსიტეტის დაარსების შესახებ უნდა განხორციელებულიყო. საჭირო იყო მთავარი ხელმძღვანელი ამ საქმის მოგვარებისათვის და აი ივანე ჯავახიშვილი საქართველოში იმ დროს მყოფი შეუდგა უნივერსიტეტის დაარსების საქმეს. არსდება ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოება, სადაც პროფერი ჯავახიშვილი უმთავრესად იმ ნიადაგზე დგას, რომ რაც შეიძლება ჩქარა გაიხსნას უნივერსიტეტი. მიუხედავად იმ დიდ სურვილისა და მოწადინებისა, რომელიც ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოებაში არსებობდა, მაინც ყველანი ნაჩქარევად სთვლიდენ უნივერსიტეტის გახსნას. მხოლოდ ერთად-ერთი ივანე ჯავახიშვილი წინააღუდგა უნივერსიტეტის გახსნის შეგვიანებას; ამასთანვე თუ მივიღებთ მხედველობაში მუქარას კერენსკის მთავრობისაგან, რომელიც ეწინააღმდეგებოდა საქართველოში უნივერსიტეტის გახსნას და სასწრაფო ზომებს იღებდა ტფილისში რუსული უნივერსიტეტის გახსნის გამო, რასაკვირველია ასეთ მომენტში ჯავახიშვილი თავის ფოლადისებურ სიმტკიცით წინ წამოიჭრა და 1918 წელის დასაწყისში 26 იანვარს გაიხსნა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გასჭრა მის სიმტკიცემ და საქართველოს მოევლინა უმაღლესი სასწავლებელი. დიახ! დიდია ღვაწლი იმ ადამიანის, რომელიც დღეს როგორც რექტორი სათავეში უდგას უნივერსიტეტს; ივანე ჯავახიშვილი—საქართველოს გამართლებაა. ივანე ჯავახიშვილი ბურჯია საქართველოს უნივერსიტეტის. ეს ყველასათვის აშკარა. 1919 წლიდან ის არჩეულია რექტორად და მისი მარჯვენა ხავსებით ამართლებს მის სამსახურს უნივერსიტეტისადმი. ვაშა მას, ვაშა უნივერსიტეტს!

**მისი მთავარი შრომები:**

1. საქართველოს ეკონომიური ისტორია 1 ნაწ.
2. ქართველ ერის ისტორია 1 და 2 ტომი.
3. ისტორიის მიზანი და მეთოდები 1 წიგნი.
4. ქართულ სიმართლის ისტორია 1 ნაწილი.
5. საქართველოს საზღვრები.
6. დამოკიდებულება საქართველოსა და რუსეთს შორის მე-18 საუკუნეში.
7. სამოქალაქო წყობილება მე-18 საუკუნეში საქართველოში.

გარდა ამისა მრავალი შრომები აქვს გამზადებული, მაგრამ დაუბეჭდავია დღემდის უსახსრობის გამო.

# დამსახურებული პროფესორი პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი

(სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორი)

ვით ვარსკვლავი, ისე ბრწყინავს ჩვენი უნივერსიტეტის ცხოვრებაში საყვარელი სახელი—პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი. გამოჩენილი ქიმიკოსი, მეცნიერი, რომლითაც იამაყებდა მსოფლიოს ყველა უნივერსიტეტი.

დაიბადა 1850 წელს. საშუალო სწავლა განათლება ტფილისში მიიღო. უმაღლესი სწავლა ქ. ადესაში დაამთავრა, ფიზიკა-მათემატიკურ დარგში 1881 წ. მაგისტრის ხარისხზე დაიცვა დისერტაცია „О производных акриловой кислоты“, მხოლოდ მეორე დისერტაცია „О производных изомерных кротоновых кислот“ დოქტორის ხარისხზე მან დაიცვა 1885 წელს. 1918 წლამდის, სახელდობრ საქართველოში ჩამოსვლამდის, პეტრე გრიგოლის ძე ითვლებოდა ადესის უნივერსიტეტში პროფესორად ქიმიის კათედრაზე. მისი გამოკვლევანი ორგანიულ და არა ორგანიულ ქიმიაში ძვირფასია მეცნიერებისათვის. პროფესორი მელიქიშვილის კალამს ეკუთვნის მრავალი შრომა რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე. თავიდანვე მან შემოიკრიბა თავის ირგვლივ ნიჭიერი მოწაფეები, ახალგაზრდა მეცნიერნი, რომელნიც შემდეგ იყვნენ პროფესორებად რუსეთის სხვა და სხვა უნივერსიტეტებში, მაგალითად პროფესორები ნ. ზელინსკი, პ. პეტრენკო-კრიტჩენკო, ლ. პისარჟევსკი და სხ.

პროფესორი მელიქიშვილი ადესაში უნივერსიტეტში პროფესორად ყოფნის დროს ეკუთვნოდა იმ მარცხენა ფრთას, რომელშიც იყვნენ ცნობილი პროფესორები მეჩნიკოვი, საპეშკო, ლისენკოვი და სხ.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე იგი შეუდგა მუშაობას მშობლიურ უნივერსიტეტის ნიადაგზე და როგორც დამსახურებული პროფესორი, ის არჩეული იყო სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ რექტორად. მას უკავია ქიმიის კათედრა და მისი ხმა მძლავრად გაისმის უნივერსიტეტის კედლებში, როგორც ლექციების დროს, ისე უნივერსიტეტის საზეიმო სხდომაზე. მისი უკანასკნელი შრომა არის ქართულ ენაზე და შეეხება „ჩვენი ღვინის ქიმიურ შემადგენლობას“.

**მისი შრომები:**

1. О производных акриловой кислоты.
2. О химическом составе южнорусской пшеницы 1881.
3. Ueber die Addition der unterchorigen Säure zu B—Crotonsäure. 1882.
4. Действие хлорноватистой кислоты на ангеликовую.
5. О глицидных кислотах. 1884.
6. О производных изомерных кротоновых кислот. 1885.
7. О производных тиглиновой кислоты
8. О строении хлорооксимасляной кислоты 1886.
9. Ueber uransäure und ihre Salze. 1897.
10. Das Ammoniumperoxid. 1901.
11. Исследование над перекисями и над кислотами. 1900.



პროფ. გაბრ. ლამბარაშვილი.

12. Фторованадиевыя соединения. 1901.
13. Отношение перекиси к некоторым солям. 1902.
14. Ortho-Pervanadate 1909.
15. Dosage de l'acide phosphorique en prèsence d'acide Silique colloidal. 1911.
16. Чувствительная реакция на молибденовую Кислоту. 1912.
17. ჩვენი ღვინის ქიმიური შემადგენლობა. 1920.

# დამსახურებული პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი.

პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი დაიბადა 1844 წელს ტფილისში. საშუალო სწავლა განათლება ტფილისის სასულიერო სემინარიაში და კლასიკურ გიმნაზიაში მიიღო, უმაღლესი სწავლა კი პეტერბურგის, ვენის, მიუნხენის და ტიუბინგენისა უნივერსიტეტებში, სადაც სწავლობდა აღმოსავლეთის ენებს ცნობილ მეცნიერების; როტის, გისბრეხტის სრესნევსკის, მიულერის ხელმძღვანელობით. პეტერბურგის უნივერსიტეტში ალექსანდრე ცაგარელი როგორც დოცენტი ლექციების კითხვას 1871 წელს იწყებს; 1880 წელს მას ქართულ ენის დოქტორის ხარისხი ენიჭება; 1883 წელს მიემგზავრება ოსმალეთს საარქეოლოგიო გამოკვლევებისათვის. მოგზაურობს აგრეთვე ათონს, პალესტინას, ეგვიპტეს, სინაის. 1890 წელს მას ორდინარულ პროფესორის ხარისხი ენიჭება და იმავე წელს მიემგზავრება ევროპას და სამეცნიერო მიზნებისთვის ავსტრიას, იტალიას, საფრანგეთს, ინგლისს და ესპანეთს მოივლის. მრავალ წლეების განმავლობაში მოსკოვში და პეტერბურგში იყო არქეოლოგიურ, ისტორიულ და ორიენტალურ საზოგადოებების წევრი. მონაწილეობდა არქეოლოგიურ კონგრესებში.

**მისი მთავარი შრომები.**

1. შედარებითი მიმოხილვა იბერიულ ენათა ჯგუფების მორფოლოგიისა.
2. ქართული ენის შესაძლო ნათესაობა ევროპიულ და თურანულ ენებთან.
3. გრამატიკა ლიტ. ქართულ ენაში.
4. სიბრძნე სიცრუის წიგნი. ქართული ზღაპრები XVII—XVIII საუკუნის (იგივე ფრანგულად).
5. მეგრული ეტიუდები (იგივე ფრანგულად).
6. ცდა მეგრულ ენის ფონეტიკისა.
7. ერთი ქართული წარწერა იერუსალიმში.
8. ცნობები ქართულ ლიტერატურის ძეგლებზე.
9. ქართულ სიძველეთა მეცნიერების ძეგლები ქართული ხელთნაწერებით (იგივე გერმანულად).
10. რუსეთისა და საქართველოს მეფეების მიწერ-მოწერა.
11. მასალები და ისტორიული დოკუმენტები.

# პროფესორი გაბრიელ გრიგოლის ძე ლამბარაშვილი

(ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი პრორექტორი).

გაბრიელ გრიგოლის ძე ლამბარაშვილი დაიბადა 1879 წელს. საშუალო სწავლა განათლება მიიღო ტფილისის მეორე გიმნაზიაში, რომლის დასრულების შემდეგ გაემგზავრა მოსკოვს, საიდანაც იმავე 1899 წელს გამოძევებულ იქნა სტუდენტთა რევოლიუციონურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო. თვით მოსკოვში ციხის ერთ საკანში განცალკევებულად დაჰყო ორი თვე და გადმოგზავნილ იქნა ტფილისში პირობით, რომ მოსკოვში არ დაბრუნებულიყო.

1901 წელს მიემგზავრება გერმანეთში და ქალაქ ბერლინში შედის სამკურნალო ფაკულტეტზე. ბერლინიდან 3 წლის იქ ყოფნის შემდეგ გადადის ფრაიბურგის უნივერსიტეტში. სამკურნალო სწავლა-განათლებას ასრულებს 1907 წელს ჰეიდელბერგის უნივერსიტეტში. იმავე წელს მიემგზავრება რუსეთს, ქ. მოსკოვში, სადაც აბარებს სახელმწიფო გამოცდებს და რჩება პროფესორ გუბარევთან გინეკოლოგიურ კლინიკაში სამუშაოთ. ათი წლის განმავლობაში მუშაობს აღნიშნულ კლინიკაში დაწყებული ორდინატორის თანამდებობიდან და იქვე 1917 წელს იღებს პროფესორის ხარისხს. 1918 და 1919 წლის განმავლობაში ის იკავებს მოსკოვის უნივერსიტეტის გინეკოლოგიურ კლინიკის გამგის ადგილს და 1920 წელს მოეშურება საქართველოსკენ, სადაც უკვე ქართულ უნივერსიტეტმა იმდენად გააჩაღა მუშაობა, რომ სამკურნალო ფაკულტეტის მოქმედებასაც სათანადო გაცხოველებული მსვლელობა მიეცა. საჭირო იყვენ ქართველი მეცნიერნი, საჭირო იყო მათი აქ ყოფნა. მოვალეობა თავის მშობელ მშრომელ ხალხისადმი მოუწოდებდა მათ საქართველოსკენ და პროფესორი გაბრიელ ლამბარაშვილიც აქეთ გამოეშურა.

მოსკოვში პროფ. ლამბარაშვილს დიდი მუშაობა აქვს გაწეული, როგორც სამეცნიერო, ისე საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. აღსანიშნავია რომ მან იქ დაარსა „ქართული სამეცნიერო საზოგადოება“ და ითვლებოდა მის თავმჯდომარეთ. ეს იყო 1913 წელს. აღნიშნულ საზოგადოებას ჰქონდა თავისი გამოცემები. მასვე ეკუთვნის „მეჩნიკოვის სახელობის სამკურნალო საზოგადოების“ დაარსება. იქაც თავმჯდომარეთ იყო გაბრიელ გრიგოლის ძე. გარდა ამისა ის იყო კუსთან მებრძოლ რუსეთის საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგად. თავმჯდომარეთ კი ცნობილი მეცნიერი პროფესორი სნეგირევი. მოსკოვში არსებულ კუს ინსტიტუტში პროფ. ლამბარაშვილს ებარა რადიოლოგიური განყოფილება.

რაც შეეხება მის მოღვაწეობას საქართველოში ამ უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში, შეიძლება ითქვას შემდეგი: პროფესორი ლამბარაშვილი აქაც დიდი ენერგიით შეუდგა მუშაობას. მის ჩამოსვლისთანავე გაიხსნა გინეკოლოგიური კლინიკა, რომლის გამგეთაც ის ითვლება. მისივე გამჭრიახობით გაიხსნა რესპუბლიკის ფიზიო-ტერაპევტიული ინსტიტუტი; უნივერსიტეტში პრორექტორის თანამდებობის შემოღებისთანავე პროფესორი ლამბარაშვილი არჩეულ იქნა აღნიშნულ თანამდებობაზე და ამ რიგად შარშანდლიდან ის არის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი პრორექტორი. გარდა ამისა „ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება“-მ პროფ. ლამბარაშვილი აირჩია თავმჯდომარეთ და მასვე მიენდო ჟურნალ „საქართველოს სამკურნალო მეცნიერების მოამბე“-ს რედაქტორობა.

# პროფ. კ. კეკელიძე

(უნივერსიტეტის 5 წლის არსებობის გამო).

დღეს, როდესაც საქართველო სიამაყით დღესასწაულობს სამეცნიერო ტაძრის უნივერსიტეტის ხუთი წლის არსებობას, საჭიროთ მიგვაჩნია მოვიხსენიოთ მოკლეთ იმ პირთა მოღვაწეობა, რომელიც ფაქტიურად სარჩულად დაედო ეროვნულ უნივერსიტეტის დაარსებას. ქართველი ერი თავის გულის სიღრმეში დიდი ხნის განმავლობაში ატარებდა უმაღლეს სასწავლებლის გახსნის იდეას, მაგრამ როგორც ვიცით, ნიკოლოზის დროს არსებულმა რეჟიმმა რომელიც დაპყრობილ ერების ყოველმხრივ დამონება-დაბეჩავებაში გამოიხატებოდა, ქართულ მეცნიერების აღორძინების საქმე ჩვენ მეცნიერთათვის საოცნებო საგნად აქცია. 1917 წ. რევოლიუციამ შექმნა უფრო მეტი საშუალებანი ჩვენი საოცნებო საგნის პრაქტიკულად განხორციელებისათვის, თუმცა ღა, რუსის მეცნიერებმა პროფ. ოლდენბურგის სახით სასტიკად წინ აღუდგენ ქართველ ხალხის მისწრაფებას—შექმნათ დაეარსებინათ საქართველოს დედა ქალაქში უმაღლესი სასწავლებელი, თითქოს ქართველებს არ ქონოდათ სათანადო მომზადება ეროვნულ ნიადაგზე მეცნიერების მიღებისათვის.

ბ. ივ. ჯავახიშვილის გარდა, უნივერსიტეტის გახსნის ინიციატივა ქართულ მეცნიერთა პატარა ჯგუფმა იკისრა. სადაც შედიოდნენ: ი. ჯავახიშვილი კ. კეკელიძე, განსვენებული ი. ყიფშიძე, აკ. შანიძე, გ. ახვლედიანი, შ. ნუცუბიძე, ვ. თიკანაძე, მოსეშვილი და სხ. ამ ჯგუფის თავდადებულმა მუშაობამ და შეუდრეკელმა ენერგიამ და სიყვარულმა ეროვნული მეცნიერების აღორძინებისადმი გამოიღო ის დიდი და საამაყო ნაყოფი, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში შეტრფოდა ქართველობა და რომლის სიდიადეს განიცდის იგი ამ ჟამად პროფ. კ. კეკელიძე ამათ შორის პირველი იყო პროფ. კეკელიძე. დაიბადა 1880 წ. 2 თებ. ს. ტობანიერში (ქვემო იმერეთი), ქართული წ.-კითხვა მშობლებისაგან შეისწავლა; 1887 წ. ის შეიყვანეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, აქ კურსის დასრულების შემდეგ, 1894 წ. ტფილისის სასულიერო სემინარიაში გადავიდა, სემინარიის დასრულების შემდეგ, 1900 წ. „სახელმწიფო ხარჯით“ გაიგზავნა კიევის სასულიერო აკადემიაში, სადაც ხელი მიჰყო ქართულ საეკლესიო მწერლობისა და ისტორიის შესწავლას. აკადემიაში კურსის დასრულების შემდეგ, 1904 წელს, ის დატოვებულ იქნა საპროფესორო სტიპენდიანტად და დაევალა აღმოსავლეთი (ათონი სინას მთა და პალესტინა) მოევლო იქაურ ქართულ ლიტერატურული ძეგლთა შესასწავლად. მაგრამ იმ დროის იაპონია-რუსეთის ომიანობამ და რუსეთში დაწყებულმა არევ-დარევამ ხელი შეუშალა აღმოსავლეთში მოგზაურობას და განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ 1906 წლის 3 იანვარს დაინიშნა ტფ. საეპარქიო ქალთა სასწავლებლის გამგედ. ამ თანამდებობას ის ეწეოდა ათი წლის განმავლობაში; როდესაც ქართველების მეგობრად ცნობილი პიტირიმ ეგზარხოსი პეტროგრადის მიტროპოლიტად დაინიშნა და მის ადგილზე საქართველოში გამოგზავნეს მთავარეპისკოპოზი პლატონი, კ. კეკელიძეს რექტორი და პროფესორი აკადემიაში, ამ ორ პირთა შუამდგომლობით რუსეთის სინოდმა 1916 წელს 23 ენკენისთვეს ის ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორად დანიდანიშნა. ეს პირველი შემთხვევა იყო ტფილისის სემინარიის 100 წლის ისტორიაში რომ აქ რექტორად ქართველი დაენიშნათ. სემინარიას ის განაგებდა 1918 წლამდე.

მნიშვნელოვანია კ. კეკელიძის სამეცნიერო მოღვაწეობა, რომელიც თავიდანვე მის ნამდვილ მოწოდებასა და სტიქიას შეადგენდა. მან ჯერ კიდევ სტუდენტობისას დაისახა მიზნად საქართველოს საეკლესიო მწერლობის შესწავლა და გაშუქება; მიუხედავად ცხოვრებისა და სამსახურის არახელსაყრელ პირობებისა, ის დაუღალავად აქვეყნებდა ამ მწერლობის მდიდარ საუნჯეს. თავის კვლევა-ძიების დროს ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდაქართულ მწერლობაში ისეთ მასალებს რაც მეცნიერებაში საძებნელ საგანს შეადგენს; და მართლაც, მისი გამოცემათა მეოხებით ევროპამ ბევრი ისეთი ლიტერატურული ნაშთი გაიცნო, რომელიც მეცნიერებაში დაკარგულად ითვლებოდა. ასეთ გამოცემებს მან საფუძველი დაუდო 1607

წელს თავისი სამაგისტრო დესერტაციით. კიევის სასულიერო აკადემიამ ორჯელ მოიწვია ის ლიტურღიის კათედრაზე პროფესორად, 1909 და 1912 წ. მაგრამ კ. კეკელიძე შორდებოდა სამშობლოს, სადაც თვალწინ და ხელქვეშ ჰქონოდა ყველა მისი მიზნებისათვის საჭირო მასალა. 1914 წ. ის აირჩიეს ტფ. ქალთა უმაღლეს კურსებზე, სადაც 1918 წლამდე მსოფლიო ეკლესიის ისტორიას კითხულობდა. ბოლოს, როდესაც 1918 წელს ტფილისში ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა, მან დაიკავა საეკლესიო ისტორიის (მსოფლიო და ქართული) კათედრა, შემდეგ კი დაევალა მას აგრეთვე ძველი ქართული მწერლობის კათედრაც; 1920 წლის იანვარში, როდესაც პროფ. ივ. ჯავახიშვილი რექტორად იქმნა არჩეული, მის მაგიერ სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტის დეკანად აირჩიეს პროფ. კ. კეკელიძე. ამავე დროს კ. კეკელიძე წევრია თითქმის ყველა ადგილობრივ სამეცნიერო საზოგადოებისა და დაარსების დღიდან მუშაობს „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში„.

**ნაშრომთა სია.**

— „К вопросу о времени празднования Рождества Христова в древней церкви“.

— „ახალი საგალობელნი წმინდისა მოწამისა ჰაბო თბილელისა“.

— „Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научние значение.

— К вопросу о важности и своевременности изучения древне-грузинской церковной, в частности—литургической письменности“.

— „Симоен Метафраст по грузинским источникам“.

— „Новооткрыаый агиологисеский памятник иконоборческой эпохи“.

— „Сведения грузинских источников о препод. Максиме Исповеднике“.

— Іерусалимский Кононар VII века (Грузинская [версия.

— Древне-грузинский Архиератиков“, ნათარგმნია ინგლისურ ენაზე ო. ყორდროპისა; და კ. კონიბერის მიერ (The Georgian version of the liturgy of the James).

— Іоаннъ Ксифилинъ, продолжатель Симеона Метафраста.

— „Житіе святыхъ епископовъ Херсонскихъ въ грузинской Минее.

— Житіе Св. Іоанна, католикоса.

— „Грузинская версія арабскаго Житія св. Іоанна Дамаскина.

— „ანტონ კათალიკოზის სალიტურღიკო მოღვაწეობიდან.

— „Къ вопросу объ іерусалимскомъ происхожденіи Грузинской церкви.

— Объ изданіи грузинскихъ агіографическихъ памятниковъ (доклад. Императ. Академія Наукъ).

— Житіе Петра Новаго, мученика Капетотійскаго (Христіанскй Востокъ. т. IV, вып. 1, 1915 г. (тр. 1—71.

— პროვოკაცია თუ სიბეცე? (ალ. რემიზოვი და სომხების „სურფსარქისი“).

— Житіе Агаѳангела, католиекоса Дамаскаго.

— წესი, რომელი იქმნების ხელდასხმასა ზედა ეპისკოპოზისა და კათოლიკოზისასა.

— დაუჯდომელი სუეტისა ცხოველისა და კუართისა საუფლოისა, ტფილისი.

—Monumenta hagioraphica Georgica, pars prima KEIMENA, t. I, გვ. I—XLVШ+1—351, ტფილისი 1918 წ. ეს დასაწყისია იმ საჰაგიოგრაფიო სერიისა, რომელიც რუსეთის სამეცნიერო აკადემიის მონდობილობით და ხარჯით უნდა გამოცემულიყო ტფილისში პროფ. კ. კეკელიძის რედაქტორობით.

— იოანე პეტრიწის სამწერლო მოღვაწეობიდან.

— ნაწყვეტი ქართული ჰაგიოგრაფიის ისტორიიდან,—ცხოვრება ილარიონ ქართველისა.

— თარგმანებაი ეკლესიასტისაი მიტროფანე, ზმხრნელ მიტროპოლიტისაი, ტფილისი 1920 წ. გვ. I—LXXXШ+1—229; ეს არის პირველი წიგნი Scriptores ecclesiastici-ს სერიიდან, რომელიც წამოყენებულია უნივერსიტეტისაგან Monumente Georgica სახელით.

— Житіе препод. Тимоѳея Стилита (დაბეჭდილია რუსეთის სამეცნიერო აკადემიის სერიაში Bibliotheca Armeno Ceorgica).



## პროფ. კორ. კეკელიძე.

## სტუდენტების სიმღერა

დედამ რომ შვილი გაზარდოს
ემაგრე ჩვენისთანაო...
ძმურად გამოსადეგნი ვართ
ყველგან და ყველასთანაო.
ლხინში მოლხინეს მოვულხენთ
ჭირში მოჭირნეს ვუშველით;
ფიქრის, საქმის, შრომის დროსა
ბრძენს არც ჩვენ დავუვარდებით.
დიდს არ გავექელვინებით
და მხარს მივცემთ პატარასა;
მტყუანს გულ და გულ დავხვდებით
მტლად დავედებით მართალსა.
წინ წასვლაში არ დავიხევთ
არ გავწირავთ უკან შთომილს:
ჩვენც ვიცით, რომ შველა უნდა
ულონოსა და დავრდომილს.
უანგაროთ მივალთ წინა,
მარტო ის გვაქვს გულში ფიქრად,
რომ წინანი უკანასთვის
უნდა იქმნენ გზად და ხიდად.
მამულისა შვილნი ჩვენ ვართ
და მიტომ ვზრდით ჭაბუკს გულსა,
რომ ყოველგან გამოვადგეთ
ჩვენს საყვარელსა მამულსა.
ეგრე გამოსადეგნი ვართ
ყველგან და ყველასთანაო:
თუ დედამ შვილი გაზარდოს,—
ემაგრე ჩვენისთანაო.

**ილია ჭავჭავაძე.**

## ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა და დოცენტთა სია

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დღეს ითვლება 37 პროფესორი და 17 დოცენტი.

**პროფესორები;**

1. ამირეჯიბი სვიმონ.
2. ალადაშვილი ალექსანდრე (სამკურნალო ფაკულტეტის დეკანი).
3. ანფიმოვი ივანე
4. ანდრონიკაშვილი ლუარსაბი
5. ახვლედიანი გიორგი
6. ბერიტაშვილი ივანე
7. ბენაშვილი ანდრია
8. გოგიჩაიშვილი ფილიპე
9. გოგიტიძე სვიმონი
10. დიდებულიძე ალექსანდრე (ფიზიკა-მათემატიკურ ფაკულტეტის დეკანი)
11. თიკანაძე ივანე
12. თვალჭრელიძე ალექსანდრე
13. ვირსალაძე სპირიდონი
14. კეკელიძე კორნელი (პედაგოგიურ ფაკულტეტის დეკანი)
15. კახიანი ნიკოლოზი
16. მაჭავარიანი ალექსანდრე
17. მელიქიშვილი პეტრე (სამეურნეო ფაკულტეტის დეკანი)
18. მოსეშვილი იასონი
19. მოსეშვილი ვარლამი
20. მუსხელიშვილი ნიკოლოზი
21. მუხაძე გრიგოლი
22. ნათიშვილი ალექსანდრე
23. ნუცუბიძე შალვა (საზოგადო ეკონომიურ ფაკულტეტის დეკანი)
24. რაზმაძე ანდრია
25. უზნაძე დიმიტრი
26. ქუთათელაძე იოველი
27. პოლიევქტოვი მიხეილი
28. ქურდიანი სოლომონი
29. შანიძე აკაკი
30. ღამბარაშვილი გაბრიელი (პრორექტორი).
31. ღოღობერიძე ბორისი
32. ჩუბინაშვილი გიორგი
33. ცაგარელი ალექსანდრე
34. ჯავახიშვილი ივანე (რექტორი)
35. ჯავახიშვილი ალექსანდრე
36. წერეთელი გრიგოლი
37. ღამბაროვი იური

**დოცენტები:**

1. ასათიანი მიხეილი
2. ამირეჯიბი კონსტანტინე
3. გედევანიშვილი დიმიტრი
4, გეხტმანი გიორგი
5. მელიქსეთ-ბეგი ლეონი
7. ნავაშინი სერგი (აკადემიკოსი)
7. ნათაძე გრიგოლი
8. ნიკოლაძე გიორგი
9. სევეროვი ნიკოლოზი
10. თულაშვილი ივანე
11. ყიფიანი ნოე
12. ხარაძე არჩილი
13. შალამბერიძე მიხეილი
14. წინამძღვრიშვილი მიხეილი
15. ჯავახიშვილი გიორგი
16. ღულაძე ივანე
17. ჟღენტი ვლადიმერი.

ზემოალნიშნული პროფესორების და დოცენტების გარდა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ირიცხება 31 ლექტორი. 70 ასისტენტი, 12 ლაბორანტი, 26 ორდინატორი, 23 უნივერსიტეტში დატოვებულნი, 25 პრეპარატორი, 13 ბებია.

გარდა ამისა საფოტოგრაფო კაბინეტში მუშაობს 4 კაცი, საქმეთა მართველობაში 19, წიგნთსაცავში 15, სამეურნეო ნაწილში 9. მსახურთა რიცხვიც უდრის 66.

## ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემანი

**(ქრონოლოგიური სია)**

1. **ყანჩაველი ზ.** გვიმბრა ნაირი და ყვავილოვან მცენარეთა სარკვევი 1919 წ. 8°. 94 გვ.

2. **შანიძე ა.** სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში 1920. 8°. VIII+210 გვ.

3. **ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე** № 1, ნაკვ. 1. სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტი. 1919. 8°. 124 გვ.

4. **რაზმაძე ა.** მათემატიკური ანალიზის კურსი ტ. I. 1920. 8°. VIII+172 გვერ.

5. **ახვლედიანი გ.** „სანსკრიტი“. მოკლე გრამატიკა და ნაწყვეტები კლასიკური სანსკრიტიდან და რიგვედიდან ლექსიკონითურთ. 1920. 8°II+114 გვ.

6. **ბერიტაშვილი ი.** პროფ. ცხოველთა ფიზიოლოგია ტ. I. ნაკვ. 1. (მეთოდიკა; კუნთის ფიზიოლოგია, საზოგადო და კერძო) 1920. 8°. II+122 გვ.

7. **ნუცუბიძე შ.** პროფ. ფილოსოფიის შესავალი. შემეცნების პრობლემა. I ნაწ. 1920. 8°. II+207+3 გვ.

8. **ბერიტაშვილი ი.** პროფ. ცხოველთა ფიზიოლოგია. 1 ტ. 2 ნაკვ. (პერიფერიული ნერვული სისტემის ფიზიოლოგია, საზოგადო და კერძო; ავტონომიური ნერვული სისტემა). 1920 წ. 8°. 124—234 გვ.

9. АБАЛИАНИ С. Крестьянский вопрос в Закавказье т. IV. Упразднение временно-обязанных и зависимых отношений крестьян и поселян в закавказье. Хизанский вопрос. 1920 г. 8°. (4)+229+(6) ст.

10. **პობედინსკი ნ.** პროფ. მეანობის მოკლე სახელმძღვანელო. თარგმანი ზოგიერთ დამატებით პროფ. ივ. თიკანაძისა 8°. II+153 გვ.

11. **მელიქსეთ-ბეგი ლ.** ძველი სომხური ქრესტომატია ლექსიკონითურთ. 1 ნაკვ. ქრესტომატია. 1920 წ. 8°. XV+140+III გვ.

12. **კეკელიძე კ.** პროფ. თარგმანები ეკლესიასტისა მიტროფანე ზმხრნელ მიტროპოლიტისა. ქართული ძეგლები. საეკლესიო მწერლობა. № 1. 1920. 8°. LXXXIII+229 გვ.

13. **ბერიტაშვილი ი.** პროფ. ცხოველთა ფიზიოლოგია. 1 ტ. (მეთოდიკა კუნთის სისტემა. პერიფერული და ცენტრალური ნერვული სისტემა). 1920. 8°. XX+483 გვ.

14. **ბობროვი ა.** პროფ. სახელმძღვანელო ქირურგიულ ნახვევთა შესასწავლად. დესმურგია. თარგმანი ექიმ მ. ცხაკაიასი. პროფ. გ. მუხაძის რედაქტორობით და დამატებით და 228 სურათით ტესქტში. 1920. 8°. II+154 გვ.

15. **ყაუხჩიშვილი სიმ.** ქრონოღრაფი გიორგი მონაზონისა. ქართული ძეგლები. III. საისტორიო მწერლობა. № 1. 8°. XXVII+328 გვ.

16. **თაყაიშვილი ე.** პროფ. ხელმწიფის კარის გარიგება, ქართული ძეგლები. IV კანონმდებლობა. № 1. 1920 წ. 8°. XXXVIII+31 გვ.

17. **მუხაძე გ.** პროფ. საზოგადო ქირურგიის რუსულ-ქართული ტერმინოლოგია. ქირურგიული პათოლოგიის კათედრა. 1919 წ, 8° 16 გვ.

18. **მელიქსეთ-ბეგი ლ.** ცხოვრება წმ. გრიგოლ პართელისა. ქართული ძეგლები, 1. საეკლესიო მწერლობა № 2. 1920 წ. 8°. III+249 გვ.

19. **უზნაძე დ.** პროფ. ანრი ბერგსონი. 1920. 8°. III+249 გვ.

20. **ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე** № 1. ნაკკ. 2. სამათემატიკო—საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი. 1920. 8°. 126—192 გვ.

21. **ნათიშვილი ალ.** პროფ. სახელმძღვანელო ადამიანის ტვინზე პრაქტიკულ ვარჯიშობისთვის. (ტვინის გაკვეთა). ნორმალურ ანატომიის კათედრა. 1920. 8° 52 გვ.

22. **თიკანაძე ი.** პროფ. სამეცნიერო ტერმინოლოგიის მასალები (რუსულ-ქართული სამეანო და საგინეკოლოგო ტერმინოლოგია) 1920. 8° 37 გვ.

23. **ბერიტაშვილი ივ.** პროფ. ცხოველთა ფიზიოლოგია. II ტ. I ნაკვ. (სისხლის მიმოქცევის და სუნთქვის ფიზიოლოგია) 1921. 6°. 196 გვ.

24. **ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე.** № 1 ნაკვ. Ш სამკურნალო ფაკულტეტი. 1920. 8° 174—274 გვ.

25. **ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე.** № 1 (ნაკვ. I—Ш) 1919—1920 8° 274 გვ.

26. **Tshubinaschvili G. brof.** Untersuchungen zur Peschichte der Georgischen Baukuust Erster Band Erstes Heft. Die kleine Kirche bes heiligen Kreuzee vou Mcchetha. 1921. 8° V + 48 s; mit VII Tafel.

27. **წინამძღვარიშვილი მ.** მასალები ხონდროიტინ-გოგირდმჟავის ქიმიისა და შარდში აღმოჩენის შესახებ მუცლის ტიფის დროს. (ქიმიური-კლინიკური გამოკვლევანი). სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიოლოგიური ქიმიის ლაბორატორიიდან და დიაგნოსტიკის კლინიკიდან. 1921. 8°. XI + 146 გვ.

28. **ფარცვანიძე მ,** ვეტერინარია (ეპიზოოტოლოგია და ორგანოთა ავადმყოფობანი). 1921. 8° 224 გვ.

29. **აბაკელია ი.** ტუბერკულოზი. პროფ. ალ. ალადაშვილის რედაქტორობით და წინასიტყვაობით. 1921. 8°. 109 გვ.

30. **ბერიტაშვილი ივ.** პროფ. ცხოველთა ფიზიოლოგია, ტ. II. ნაკვ. 2. (საჭმლის მონელების ფიზიოლოგია და შეთვისება მონელებული საჭმლის ნაწარმოებთა). 1921. 8° II + 462 გვ.

31. **ბაქრაძე ექ.** ჰიგიენის და ეპიდემიოლოგიის სახელმძღვანელო და ცნობანი ეპიზოოტოლოგიის შესახებ. 1921. 8°. II + 349 + II გვ.

32. **კაკაბაძე სარგ.** დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. 1. ქართული ძეგლები. S. სიგელ-გუჯრები 1920. 8° IV + 164 გვ.

33. **კაკაბაძე სარგ.** დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. 2. ქართული ძეგლები. S. სიგელ-გუჯრები № 3, 1920. 8° VI + 180 გვ.

34. **მალაევი.** მიკროსკოპი.

35. **რაზმაძე ა.** მათემატიკური ანალიზის მე-Ш ტომი. ინტეგრალური ანალიზის კურსი. ნაწ. I. განუწყვეტელი ინტეგრალები. 1922,

**შენიშვნა:** ზემოთ მოყვანილ უნივერსიტეტის გამოცემათა ქრონოლოგიურ სიაში არ შედის ის შრომები, რომელიც გამოცემულია უნივერსიტეტის გარეშე კერძოდ, მაგრამ ეკუთვნის ის მეცნიერებს, რომელნიც უნივერსიტეტში მუშაობენ; ასე მაგალითად პროფ. ნათიშვილის „ადამიანის ნორმალური ანატომია“ „ორი გამოცემა“), მისივე „ნორმალურ ანატომიის ტერმინოლოგია“, ექიმ მაისურაძის თარგმანი პროფ. კულჩიცკის „ჰისტოლოგის საფუძვლები“, პროფ. ქურდიანის, დოცენტ ხარაძის, ექიმ ცეცხლაძის და სხვა მრავალი.

## ქართული უნივერსიტეტის ფაკულტეტები და სტუდენტთა რაოდენობა

ქართულ უნივერსიტეტში არის შემდეგი ფაკულტეტები:

1. სამკურნალო ფაკულტეტი.
2. საპედაგოგიო ფაკულტეტი, რომელშიაც შედის საბუნებისმეტყველო—სამათემატიკო და სიბრძნისმეტყველების განყოფილებანი.
3, აგრონომიული ფაკულტეტი.
4. სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტი, რომელიც შესდგება სოციალური და ეკონომიური დარგისაგან.
5. პოლიტიკური ფაკულტეტი.

სტუდენტთა რაოდენობა ფაკულტეტების მხრივ დანაწილებულია შემდეგი ნაირად:

| | | |
|---|---|---|
| სამკურნალო ფაკულტეტზე | 862 | სტ. |
| აგრონომიულ „ | 885 | „ |
| სოციალ-ეკონომიურ | 767 | „ |
| საპედაგოგიო „ | 861 | „ |
| პოლიტეხნიკუმ „ | 245 | „ |
| ს უ ლ . . . | 3620 | სტ. |

უნივერსიტეტში ამ ჟამათ ირიცხება 29 სტიპენდიანტი. უნივერსიტეტი დაასრულა 56 ახალგაზრდამ.

## უნივერსიტეტი და ტფილისის საავადმყოფოები

სახელმწიფო უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტის გახსნისთანავე გაცხოველებულ მუშაობას ვხედავთ ამ დარგში ტფილისში არსებულ საავადმყოთა კედლებში. თუ რა დამოკიდებულება აქვს სამკურნალო ფაკულტეტს და მაშასადამე უნივერსიტეტს ტფილისის საავადმყოფოებთან და საერთოდ სამკურნალო დაწესებულებებთან, ჩვენ ქვემოთ მოვიყვანთ მხოლოდ იმ მშრალ ცნობებს სამკურნალო დარგის სხვა და სხვა კათედრების შესახებ, რომელიც ნათლად გვიხატავს უნივერსიტეტის მნიშვნელობას მთელი მშრომელი ხალხის ცხოვრებაში:

1. **რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფო** (ყოფილი მიხეილის), სადაც მოთავსებულია ა) ჰოსპიტალური ქირურგიული კლინიკა (პროფესორი მუხაძე), ბ) ჰოსპიტალური ტერაპევტიული კლინიკა (პროფესორი ვირსალაძე), გ) ნერვიული კლინიკა (პროფესორი ანფიმოვი), დ) კერძო პატოლოგიის და ტერაპიის კათედრა (პროფ. ვირსალაძე), ე) ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებათა კათედრა (ლექტორი მედიცინის დოქტორი ასპისოვი), ვ) პატოლოგიურ ანატომიის კათედრა (დოცენტი ჟღენტი), ზ) სასამართლოს მკურნალობის კათედრა (ლექტორი მედიცინის დოქტორი ვიხრევი).

2. **რკინის გზის საავადმყოფო:** ა) პროპედევტიულ ქირურგიის კლინიკა (პროფ. კახიანი), ბ) დიაგნოსტური კლინიკა (დოცენტი წინამძღვარიშვილი).

**3. ქალაქის პირველი საავადმყოფო** (ყოფილი არამიანცის): ა) ბავშთა სნეულებათა კლინიკა (პროფ. გოგიტიძე), ბ) ოპერატიულ გინეკოლოგიის კლინიკა (პროფ. ლოლობერიძე).

**4. ქალაქის მეორე საავადმყოფო** (ყოფილი ალექსანდრესი): ა) ფაკულტეტის ქირურგიული კლინიკა (პროფ. მაჭავარიანი), ბ) ფაკულტეტის ტერაპევტიული კლინიკა (პროფ. ალადაშვილი), გ) ბალნეოლოგიის კათედრა (პროფ. ალადაშვილი).

**5. ქალაქის მესამე საავადმყოფო:** კანის და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკა (დოცენტი ლულაძე).

**6. ქალაქის პსიქიატრიული საავადმყოფო:** პსიქიატრიული კლინიკა (დოცენტი ასათიანი).

7. რესპუბლიკის საგინეკოლოგიო და სამეანო ინსტიტუტი (ყოფილი ოლღას საბებიო ინსტიტუტი): ა) გინეკოლოგიური კლინიკა (პროფ. ღამბარაშვილი, ბ) სამეანო კლინიკა (პროფ. თიკანაძე), გ) რენტგენოლოგიის კათედრა (პროფ. ღამბარაშვილი).

**8. ანატომიური ინსტიტუტი:** ა) ნორმალურ ანატომიის კათედრა (პროფ. ნათიშვილი), ბ) ტოპოგრაფიულ ანატომიის და ოპერატიულ ქირურგიის კათედრა (პროფ. კახიანი).

**9. რესპუბლიკის თვალის სნეულებათა ცენტრალური საავადმყოფო:** თვალის სნეულებათა კლინიკა (ლექტორი მედიცინის დოქტორი მუსხელიშვილი).

# რურის ოლქის ოკუპაცია

**მოსკოვი** 25 იან. საფრანგეთის პრესა აქცევს—ყურადღებას იმ დაბრკოლებებს, რომელიც საფრანგეთს ახლო მომავალში მოელის პირვანდელი შეხედულება, რომ ნახშირის გადასახადი რურში საშუალებას მისცემდა ფრანგებს აენაზღაურებიათ მუშების ხელფასი, არ გამართლდა, ვინაიდან გადასახადისაგან უმნიშვნელო თანხა შემოვიდა.

დიდ აურ-ზაურს იწვევს აგრეთვე საფრანგეთის შინაური მდგომარეობა.

**პარიზი** 25 იან. ვოლფის სააგენტოს ცნობით საფრანგეთის სამხედრო ხელისუფლებამ სასტიკად აკრძალა ხორბლის და ხორცის რეკვიზიცია.

ბერლინის გაზეთების ცნობით საფრანგეთის ხელისუფლება მოელის ახალ დაპატიმრებას რურის მოხელეთა შორის.

**10 დღის ოკუპაცია.**

**ჰანოვერი.** იანვ. 23. გერმანიის პრესა ჯამს უკეთებს რურის ათი დღის ოკუპაციას. ამ დღეების განმავლობაში ფრანგებმა შეიყვანეს რურის ოლქში ჯარები, დააპატიმრეს მაღაროების 10 დირექტორი, ოლქის საფინანსო განყოფილების გამგე, ფოსტის, საბაჟოს და რკინის გზების მოსამსახურეების მთელი რიგი, შეიყვანეს მაღაროებში ჯარის ნაწილები, მიიყვანეს მუშები გაფიცვამდე, შეაჩერეს რკინის გზებზე მატარებლები, სრულებით შესწყვიტეს რკინისგზის მოძრაობა, დახვრიტეს მუშა ბოხუმში და სანიტარი ლანგენდრესერში, დაიკავეს ყველა მუშათა კლუბები და დასასვენებელი სახლები და ვერ შესძლეს ვერც ერთი ფუთი ნახშირის გატანა საფრანგეთში.

**უპუროთ და უხორცოთ.**

**ჰანოვერი.** იანვ. 25. საფრანგეთიდან მიღებულ ცნობებით, რურის ოლქში პურის და ხორცის მარაგი თითქმის გათავდა.

**ტისსენის პროცესი.**

**ჰანოვერი.** იანვ. 25. გუშინ მაინცში დაიწყო პროცესის მოსმენა, რომელიც აღძრულია ტისსენის და სხვა 5 მაღაროს პატრონის წინააღმდეგ. ბრალს სდებენ ტისსენს, ნესტენს. ნეუსტრმოფერს, ტენელმანს, ოლფეს და სნინდლერს. სასამართლოში ტისსენმა განაცხადა, რომ ის როგორც გერმანიის ქვეშევრდომი, შესაძლებლად სცნობს დაემორჩილოს მხოლოდ გერმანიის მთავრობის ბრძანებებს ასეთივე განცხადებით გამოვიდნენ დანარჩენი ბრალდებულები, საფრანგეთის სამხედრო გუბერნატორმა—ბადეშმა გასცა ბრძანება, რათა გადაიდოს განაჩენის გამოტანა.

**ახალი დაბრკოლება.**

**ჰანოვერი.** იანვ. 25. ვისბადენში სატყეო უწყების მუშებმა და მოსამსახურეებმა უარი განუცხადეს საოკუპაციო ხელისუფლებას, რომელიც იქ შევიდა იანვრის 23-ს, უწყების დოკუმენტების ჩაბარებაზე და საფრანგეთის კომისიასთან თანამშრომლობაზე.

**ახალი უმაღლესი სულთამხუთავი.**

**ჰანოვერი.** იანვ. 25. საფრანგეთს განზრახული აქვს შემოიღოს რურის ოლქში უმაღლეს კომისრის თანამდებობა. ამ თანამდებობაზე განზრახულია ცნობილ გენერალ ვეიგანის დანიშვნა რომელმაც დიდი დახმარება გაუწია პილსუდსკის საბჭოთა რუსეთთან ომის დროს.

**მუსოლინის მოხსენება.**

**ბორდო.** იანვ. 25. ორშაბათს მინისტრთა საბჭოს სხდომაზე, მუსოლინმა გააკეთა ვრცელი მოხსენება რურის ოლქის მდგომარეობის შესახებ. მუსოლინმა აღნიშნა, რომ გერმანიის წინააღმდეგობა საფრანგეთ-ბელგიის ჯარებისადმი იყო მიზეზი ნახშირის მარაგის რეკვიზიციისა, რომელიც მოიპოვებოდა ქარხნებში, მაღაროებში და სადგურებში და აგრეთვე სამხედრო და პოლიტიკურ ხასიათის ზომების მიღების.

მუსოლინმა დაუმატა: იტალიის ინჟინერები გაიგზავნა ერთად-ერთი მიზნით, რათა მონაწილეობა მიიღონ ეკონომიურ და საკონტროლო ოპერაციებში.

მათ მიიღეს ბრძანება, რათა დაკმაყოფილებულიყვნენ მხოლოდ თანამშრომლობით ტეხნიკურ ხასიათის ოპერაციებში. ჩვენი პოზიცია თავიდანვე ნათლად გარკვეული იყო და ასევე გაგებული პარიზში.“ საფრანგეთ-გერმანიის შორის იტალიის შუამავლობის შესახებ გავრცელებულ ხმების გამო მუსოლინმა განაცხადა: „იტალიის მთავრობას არ შეუძლია ამ ჟამად თავისი პოლიტიკის შეცვლა.“ შეეხო რა საკონტრიბუციო კომისიაში წარდგენილ მორატორიუმს გერმანიისათვის, მუსოლინმა განაცხადა, რომ ამ პროექტში მოიპოება იტალიის მემორანდუმის ზოგიერთი ძირითადი დებულებები, რომელიც წარდგენილი იყო ლონდონის თათბირზე, ეს იგი ორ წლის მორატორიუმი და სესხი გერმანიისათვის. მუსოლინმა დასასრულს აღნიშნა რომ ამერიკას რეინლანდიდან ჯარების გაწვევით არ შეუცვლია თავისი პოზიცია.

# ლოზანას კონფერენცია

**ლონდონი.** 25 იანვარი. ოსმალეთის დელეგაციის მიერ კერზონის წინადადების უარყოფა, მოსულის საკითხის ერთა ლიგის არბიტრაჟისათვის გადაცემის შესახებ, გავლენას არ იქონიებს ლოზანას კონფერენციის მიმდინარეობაზე. საზავო ხელშეკრულების პროექტი მოკავშირეთა პირობებითურთ განზრახულ ვადაზე გადაეცემა ოსმალეთს და ხელშეკრულებაში იქნება მუხლი მოსულის საკითხის ერთა ლიგისათვის გადაცემის შესახებ. ამის შემდეგ ოსმალებს მიეცემათ შესაძლებლობა ან მიიღონ ეს მუხლი ან დარჩენ თანიანთ ძველ პოზიციაზე.

**მოკავშირეთა დელეგაციების თათბირი.**

**ლონდონი.** 25 იანვარი. დღეს გაიმართა ხანგრძლივი თათბირი კერზონსა, საფრანგეთის და იტალიის დელეგაციას შორის იმ მდგომარეობის საკითხის განსახილველად, რომელიც შეიქმნა მოსულის საკითხში ერთა ლიგის არბიტრაჟზე ოსმალების მიერ უარის თქმის გამო.

**მოკავშირეები მოითხოვენ კონტრიბუციას.**

**ლონდონი,** იანვრის 25. ლოზანას კორესპონდენტების ცნობით, მოკავშირეები მოითხოვენ ოსმალეთისაგან, რათა უკანასკნელმა ნახევრად შეამციროს მის მიერ ნაგულისხმევი კონტრიბუცია ე. ი. აილოს საბერძნეთისაგან 15 მილ. გირ. სტ. მოთხოვნილ 30 მილ. გირვანქის ნაცვლად.

**„გაბედული ნაბიჯი“**

**ლონდონი,** იანვრის 25. კერზონის წინადადების გამო, მოსულის საკითხის ერთა ლიგის არბიტრაჟისათვის გადაცემის შესახებ, გაზ. „დეილი ტელეგრაფი“ სწერს: „ეს წინადადება არის გაბედული ნაბიჯი, რომელსაც უეჭველია მხარს დაუჭერს ბრიტანეთის მთავრობა“.

**საზღვრების საკითხის განხილვა გრძელდება.**

**რომი,** იანვრის 25. ლოზანას კონფერენციაზე გრძელდება ოსმალეთის, სირიის და მესოპოტამიის საზღვრების განხილვა.

**ოსმალეთის პოზიცია მოსულის საკითხში.**

**რომი,** იანვრის 25. დღევანდელ სხდომაზე ისმეტ-ფაშა მოითხოვდა მოსულის ოსმალეთისათვის გადაცემას, ამასთანავე ოსმალეთი საშუალებას მისცემს სახელმწიფოებს აწარმოვონ ამ ოლქში ნავთის ექსპლოატაცია ერთა ლიგის არბიტრაჟის ნაცვლად ოსმალეთს წინადადება მისცეს, რათა მოსულის საკითხი პლებისციტის საშუალებით გადასწყვიტონ. ლორდ კერზონმა განაცხადა, რომ პლებისციტის დაწესება არ შეიძლება მის აზრს დაეთანხმებ მარრონი და საფრანგეთის და იაპონიის დელეგატები ურჩევდენ რა ოსმალეთს შეამციროს თავისი მოთხოვნილებანი კერზონმა აგრეთვე განაცხადა, რომ ერთა ლიგის სტატუტის 2-ე მუხლი შეიცავს მშვიდობიანობის დაცვის საუკეთესო პირობებს მიუხედავათ ამისა ისმეტ-ფაშა დაჟინებით მოითხოვდა მოსულის ოსმალეთისათვის გადაცემას.

# უცხოეთი

**პოლონეთის კაბინეტისათვის ნდობის გამოცხადება.**

**ჰანოვერი.** 25 იანვარი. ვარშავიდან იტყობინებიან, რომ პოლონეთის სეიმმა ნდობა გამოუცხადა სიკორსკის მთავრობას.

**ემისია გერმანიაში.**

**ჰანოვერი.** 25 იანვარი. იანვრის მეორე ნახევარში გერმანიის ემისია გაიზარდა 1 ნახევარ ბილიონ მარკამდე.

**საბერძნეთის ახალი კაბინეტი**

**ბორდო.** 25 იანვარი. საბერძნეთის ახალ კაბინეტში იუსტიციის მინისტრად დაინიშნა მისიოსი, საკასაციო სასამართლოს წევრი ყოფილი გენერალ-გუბერნატორი, შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნულია პაპანდრეონი, სამხედრო მინისტრად გენერალი მავრომიხალისი, პოლკოვნიკმა რონაკოსმა შეინარჩუნა მხოლოდ საბჭოში თავმჯდომარეობა.

**საბერძნეთი და სამხრეთ სლავია.**

**ბორდო.** 25 იანვარი. საბერძნეთში მყოფმა სამხრეთ-სლავიის ელჩმა ბალაგნიშმა განუცხადა საბერძნეთის მთავრობას იმ ცვლილებათა შესახებ, რომელიც სამხრეთ-სლავიას სურს შეიტანოს სალონიკის თავისუფალ ზონის კონვენციაში.

**სპეკულიაცია ისპანიაში.**

**ბორდო.** 25 იანვარი. გაზ. „ტანი“ იტყობინება, რომ იმ ხმების გამო, რომ თითქოს ისპანია კისრულობს შუამავლობას გერმანიასა და საფრანგეთს შორის, მადრიდელები სპეკულიაციას ეწევიან ფრანკებით და გერმანული მარკებით ბირჟაზე ერთი დღის განმავლობაში გაიყიდა ერთ მილიარდზე მეტი მარკა და ბირჟა იძულებული შეიქნა შეეწყვიტა მუშაობა ვალიუტის მარაგის უქონლობის გამო.

**ახალი ზარბაზანი.**

**ბორდო.** 25 იანვარი. ანგულამის მახლობლად მდებარე ფოლადის ჩამომსხმელმა ქარხანამ (საფრანგეთი) დაამთავრა ახალი ზარბაზნის ჩამოსხმა. ამ ზარბაზანს ექნება 21 მეტრი სიგრძე და იგი გაისვრის ყუმბარას 90 კილომეტრის მანძილზე ამ ზარბაზნის ყუმბარა იქნება სიმძიმით 450 კილოგრამი.

**ავსტრიაში.**

**ბორდო.** 25 იანვარი. კანცლერი სკეიველი და გარეშე საქმეთა მინისტრი გაემგზავრნენ პარიზში.

**მემელი და პოლონეთი.**

**ბორდო.** 25 იანვარი. პოლონეთის სეიმის საგარეო საქმეთა კომისიამ გამოიტანა რეზოლიუცია მემელის საკითხის აუცილებლობის შესახებ.

**იაპონია და ამერიკა.**

**ბორდო.** 25 იანვარი. ტოკიოდან მიღებულ ცნობების თანახმად ადმირალმა კაცემ განაცხადა, რომ თუ საფრანგეთი და იტალია არ დაამტკიცებენ ვაშინგტონის ხელშეკრულებას, მაშინ ინგლისს ამერიკას და იაპონიას მოესპობათ საშუალება შეთანხმდენ ფლოტის საკითხში თუ ხელშეკრულებას დაამტკიცებენ, მაშინ იაპონია სისწორით შეასრულებს ვაშინგტონის კონვენციის პირობებს და შესწყვეტავს ახალ გემების აშენებას.

# რუსეთი

**თურქესტანში.**

**ტაშკენტი.** 25 იან. თურქესტანის სახელმწიფო უნივერსიტეტის მძიმე ფინანსიურ მდგომარეობის გამო, საფინანსო კომისიას წინადადება ეძლევა, რათა 7 დღის განმავლობაში მოძებნოს საშუალება უნივერსიტეტის ხარჯების დასაფარავად გარდა სწავლების ფასისა—100 დან 200 მანეთის რაოდენობით, საექიმო ფაკულტეტთან არსებულმა კომისიამ დააწესა ზოგიერთ სტუდენტებისათვის პერსონალური გადასახადი—600-დან—1.000 მანეთამდე.

— ტაშკენტის სეისმოგრაფიულ სადგურზე აღნიშნულია მიწის ძვრა, რომელსაც, როგორც სჩანს, ადგილი ჰქონდა სამარკანდის რაიონში, ტაშკენტში მიწის ძვრის ძალა აღნიშნულია 5 ბალით.

**ნახშირი უცხოეთიდან,**

**სიმფეროპოლი.** 25 იან. ნახშირის არაჩვეულებრივი კრიზისი, რომელსაც განიცდიდა სახელმწიფო ზღვაოსნობა უკანასკნელ დროს შენელდა. სევასტოპოლის ზღვაოსნობის თანამშრომლების მიერ მიღებულ ცნობებით ოდესაში უკვე მიღებულია ზანძულდაკიდან ოსმალეთის ნახშირის დიდი პარტია. ამ გარემოების საშუალებით ოდესიდან ყირიმკავკასიის ხაზით მიმავალ გემებს ექნება საკმაო ნახშირი და აღდგენილი იქნება რეისების სისწორე.

**სანიტართა გემებზე.**

**სიმფეროპოლი.** 16 იან. სევასტოპოლის ნავთსადგურში სავალდებულო სანიტარულ დადგენილებათა შემოღების გამო, ამ ჟამად გემების და ხომალდების სანიტარული მდგომარეობა გაუმჯობესდა.

# ახალი ამბები

**რედაქციას განზრახული ქონდა დღევანდელ ნომერში მოეთავსებია პროფ. ივ. ჯავახაშვილის, ალ. ცაგარელის და სხვა პროფესორთა სურათები, მაგრამ სამწუხაროდ ხსენებული სურათები ვერ ვიშოვეთ.**

— ტფილისში ჩამოვიდა ერთი ქართველი კაცი, რომელმაც ტფილისის მუზეუმს წარუდგინა ორი ძველი ქართული ფული სპილენძისა 13 საუკუნის, რუსუდან დედოფლისა, ერთი ძველებური ქართული თოფი, ძველის ქართულის წარწერილით, რომელი წანაწერნიც მოწმობენ, რომ იგი მეფე ერეკლეს დროის არის. ამავე პირს აქვს ორი ოქროს პოლონური ფული 17 საუკუნისა, რაც მუზეუმის გამგემ გაშინჯა და შეძენით კი არ შეიძინა, როდესაც იგი პოლონელების საკუთრება არისო. ამიტომ ეხლა ამ ფულებით ხსენებულ პირმა პოლონელ საზოგადოებას მიმართა ტფილისში.

— **ტფილისის საბჭომ შემდეგი დეპეშა მიიღო მოსკოვიდან.** მუშათა-გლეხთა დეპუტატების ტფილისის საბჭოჩემ მიერ გაყვანილია შრომის დაცვის საბჭოში დადგენილება, შეტანით 1923 წლის ბიუჯეტში, ერთი მილიონი ოქროსი ხანგრძლივი სესხის მიცემა ამიერ კავკასიის სოციალისტურ საბჭოთა სახალხო კომისართა საბჭოს, ტფილისის საბჭოსთვის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის ასაგებად ტფილისში საჩქაროთ მიეცეს ავანსის სახით ორასი ათასი ოქროთი. შრომის და დაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე რიკოვი.

# ხელოვნება

**გამართვა მაიას თაობაზე.**

ამა იანვრის [illegible] სახელმწიფო ოპერის დირექტორის ამხ. ალ. წუწუნავას თავმჯდომარეობით მოხდა სხდომა სახელოვნო კომისიისა, რომელსაც უნდა განეხილა ახალგაზდა კომპოზიტორის ალე ფარცხალაძის პირველი ოპერა **მაია**. კომისიამ დიდის ინტერესით მოისმინა **მაიას** მუსიკა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დაასკვნა, რომ მუსიკა **მაია** ოპერისა აღბეჭდილია უეჭველი ნიჭით და წარმოადგენს უფრო სინთეზს, ვიდრე ეთნოგრაფიულ კოლორიტს ქართული სამუსიკო მელოდიებისას. ამის გამო დაუყოვნებლივ აღძრულ უნდა იქმნეს შუამდგომლობა, რათა **მაიას** ავტორი ალე ფარცხალაძე სახელმწიფო ხარჯით მიღებულ იქმნეს კონსერვატორიაში, სადაც შეეძლება უფრო საფუძვლიანად შესწავლა სამუსიკო ხელოვნებისა და შესწორება ზოგიერთი ნაკლისა, რომელიც ემჩნევა მისი ოპერის მუსიკასა.

X.

**სახალხო სახლი.**

სახელმწიფო რუსული დრამა.

განახლდა ძველი, მაგრამ მუდამ ახალი და საინტერესო დრამა ალექსანდრე დიუმასი (შვილის) „La dame aux comelias). დრამის სიუჟეტი აღებულია ამავე სახლის რომანის სიუჟეტიდან. რა თქმა უნდა ყველამ იცის, რომ სწორედ ეს დრამა გამოიყენა თავის ოპერა „ტრავიატასათვის“ ვერდიმ, დადგმა მოფიქრებულია, გარეგნულად ლამაზი. არის დეფექტიც: 1. მოქმედება სწარმოებს 1833 წელს, ამიტომ mize en scene და ტანისამოსიც უნდა შეეფარდებოდენ ამ ეპოქას. მუსიკალური ნომრები (ტანგო, ვალსი ჩაიკოვსკის ბალეტიდან, და განსაკუთრებით ანტრაქტი ოპერა M-me ბატერფლეიდან) სრულიად შეუფერებელია და მიკვირს, სარეჟისორო ნაწილმა რათ არ მიაქცია ამას ყურადღება.

მთელი დრამა ეყრდნობა ორ როლს: მარგარიტა გოტიეს (ვალერსკაია) და არმან დიუვალს (გლაგოლინი) დანარჩენი როლები ეპიზოდიურია.

მოქ. ვალერსკაია მოხდენილი, ლამაზი მარგარიტა არის, მაგრამ ის ტონი, რომლითაც ის ასრულებს თავის როლს—ერთფეროვანია არა ბუნებრივი და სრულიად არ ხატავს მარგარიტას შინაგან განცდებს მსახიობი არ სახავს გარკვევით მის არსებაში დიუვალისადმი ჩასახულ სიყვარულის მომენტს. მე მგონია ეს არ არის სწორი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მარგარიტა ფრანგია, ცოცხალი და არა ისეთი ფლეგმატიური, როგორც გადმოგვცემს მოქ. ვალერსკაია: მის შესრულებაში უფერულად ჩატარდა ისეთი სცენები, როგორიც არის სცენა არმანის მამასთან, სალამოზე პრიუდონებთან როცა არმანი შეურაცხყოფს მას.

კარგი არმანი დიუვალია მოქ. გლაგოლინი. მის შესრულებაში დიუვალი ახალგაზრდაა, წმინდა, მარგარიტას უსაზღვრო მოყვარული. კარგია პირველი სცენა მარგარიტასთან შეხვედრისას, გამოთხოვებისა და შეურაცხყოფის სცენა. გრიმი ცუდი აქვს.

კარგი იყო მოქ. ტუგანოვი გრაფ დიუვალის როლში. მოქ. ლირანი პრიუდონის როლს ცოტაოდნათ აშარჟებს.

პ. ბებუთოვი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

**დაიკარგა**

პირადობის მოწმობა ტფილისის მილიციის უფროსის სამმართველოდან მოცემული ჩაითვალოს გაუქმებულად.

**იეხესკელ ჯინჯიხაშვილი.**

383 1—1

**ქალ. ტფილისის ალმასკომის გადასახადთა ბიურო**

ამით აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 1-ლ თებერვალს 1923 წ. შუადღის 12 საათზე

ალმასკომის დარბაზში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა სასტუმრო „აპოლოზე“.

**პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში საიჯარო მაგიდის გამგესთან, ოთახი № 50.** 280 3—1

**საქალაქო გადასახადის გამტარებელი**

**კომისია**

**ამით აცხადებს, რომ ის პირნი, რომელთაც 25 იანვრამდე არ შემოუტანიათ სამოქალაქო გადასახადი იხდიან 26 იანვრიდან 31 იანვრამდე თანახმად ალმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებისა, გადასახადზე დამატებით საურავს 25 პროცენტს. 1 თებერვლიდან კი იხდიან გაორკეცებულ გადასახადს ახალი კურსით.** 279 2—1